ᲡᲡᲘᲞ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ
ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ №01-05-04/189

ქ. თბილისი 22 ივლისი 2019

**სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტ ციალა მელაძის სწავლის საფასურის გადასახადის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტ ციალა მელაძის განცხადებისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პირველი კურსის დოქტორანტ ციალა მელაძეს სწავლის საფასურის დავალიანების (562,5 ლარი) გადახდა გადაუვადდეს მეორე კურსის პირველი სემესტრის ბოლომდე;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე